23/12/2024

MES 7 24 0001641301

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 10 დეკემბერს 12:00 საათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Time: Dec. 10, 2024 12:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/86383209446?pwd=L9r6AND8WePfbahCf1zKNfhB7yLwDL.1
Meeting ID: 863 8320 9446
Passcode: 267444

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:
ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - ,,კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს მდივანი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი (საბჭოს წევრი);
ნათია გვირჯიშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (საბჭოს წევრი);

სალომე სანაია - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების მენეჯერი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კორდინატორი

დაწესებულების წარმომადგენელი:

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“
კონსტანტინე დოლიძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ნაირა ჭინჭარაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი

სსიპ კოლეჯი „მოდუსი“
ნინო ქავთარაძე - დირექტორი
მაია დალაქიშვილი - დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში
რუსუდან ქურსაბედიანი - ზრდასრულთა განათლების კორდინატორი
მადონა გოგობერიშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი
სალომე მაყაშვილი **-** კოლეჯი მოდუსი მარნეულის მენეჯერი

შპს შვეიცარული აგრარული სკოლა კავკასია
თინათინ მახარაძე - დირექტორი
ლელა ბუცხრიკიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
მამუკა ბენაშვილი **-** „ტრაქტორის მემანქანე“ პროგრამის ხელმძღანელი

შპს პირველი ფიტნეს აკადემია
თეა წიკლაური **-** ფინანსური მენეჯერი

შპს ამარენა
ხათუნა ბაკურაძე -დირექტორი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგ ის ექსპერტები:
ზაალ ხელაძე
ვალერი ჯაჯანიძე
მაია მსხილაძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:08 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის

განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. „ა(ა)იპ კოლეჯ ,,პრესტიჟისთვის “ ,,მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 5 ოქტომბრის №1420785 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ“ 2024 წლის 18 ნოემბრის №1484786 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

2. სსიპ კოლეჯ „მოდუსის" „ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი“ /02141/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. შპს შვეიცარული აგრარული სკოლა კავკასიის „ტრაქტორისტი მემანქანე“ /02110/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. შპს პირველი ფიტნეს აკადემიის „ფიტნეს ასისტენტი“ /01315/ - პროფესიული მომზადების პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

5. შპს ამარენას „ფრანგული კონდიტერია“ /01331/ - პროფესიული მომზადების პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს წევრმა თეა გულუამ მიმართა საბჭოს თავმჯდომარეს, რომ შპს შვეიცარული აგრარული სკოლა კავკასიის საკითხის განხილვაში ვერ მიიღებდა მონაწილეობას ინტერესთა კონფლიქტის გამო, რაც მან, საბჭოს სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე, აცნობა წერილობით ცენტრს.

1. „ა(ა)იპ კოლეჯ ,,პრესტიჟისთვის “ ,,მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 5 ოქტომბრის №1420785 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ“ 2024 წლის 18 ნოემბრის №1484786 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა

ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა განაცხადა, რომ საკითხი ეხება ტექნიკური უზუსტობის გასწორებას, **2024 წლის 18 ნოემბრის №1484786** გადაწყვეტილებაში გაიპარა ტექნიკური უზუსტობა, კერძოდ, 5 ნოემბრის ნაცვლად გადაწყვეტილებაში მითითებული იყო 5 ოქტომბერი. ქალბატონმა ნანიმ მიმართა საბჭოს წევრებს, 5 ნოემბრის გადაწყვეტილებაში შესულიყო ცვლილება, მან განმარტა, რომ სასურველია, 18 ნოემბრის გადაწყვეტილება ძალადაკარგულად გამოცხადდეს და განისაზღვროს დღევანდელი გადაწყვეტილების მეორე პუნქტით, რომ 5 ნოემბრის გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ა(ა)იპ კოლეჯ ,,პრესტიჟს“ მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა ,,მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი“.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, „ა(ა)იპ კოლეჯ ,,პრესტიჟისთვის “ ,,მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 5 ოქტომბრის №1420785 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ“ საბჭოს 2024 წლის 18 ნოემბრის №1484786 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

ცენტრის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,
1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 18 ნოემბრის №1484786 გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა .
2. ცვლილება განხორციელდეს „ა(ა)იპ კოლეჯ ,,პრესტიჟისთვის“ ,,მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 5 ნოემბრის №1420785 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ა(ა)იპ კოლეჯ ,,პრესტიჟს“ (ს/კ: 231287005) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი /02080/“**(დანართი 1).**

2. სსიპ კოლეჯ „მოდუსის" „ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი“ /02141/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ზაალ ხელაძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 15 ოქტომბრის №1325247 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა ზაალ ხელაძემ შეისწავლეს სსიპ კოლეჯ „მოდუსის“ პროფესიული მომზადების პროგრამის „ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2024 წლის 30 ოქტომბერს განახორციელეს ვიზიტი საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, რეკომენდაცია არ გაცემულა.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ „ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი“ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 28 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15, განხორციელების ადგილი: ქ. მარნეული, იაღლუჯის დასახლება.

პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დასაქმების/მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს, რაც გამოიკვეთა საქართველოს ბიზნეს ასოციაციისა და საქართველოს განახლებადი ენერგიების განვითარების ასოციაციის წევრი კომპანიების გამოკითხვის შედეგად, რომ სექტორს გააჩნია კვალიფიციური კადრების მწვავე დეფიციტი. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამის სახელწოდება არ არის შეცდომაში შემყვანი, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ პროგრამის შინაარსი უკავშირდება პროფესიულ მომზადებას, ხოლო პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამაზე - „ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია: განათლება - საბაზო, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება, ასაკი - 18 წელი.

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია.

სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, ხოლო სასწავლო პროცესში გამოყენებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები.

პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელებისას გამოიყენება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმა, პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში მოთხოვნილია 1 ჯგუფში, 15 მსმენელი. პროგრამის თეორიული კომპონენტი განხორციელდება სსიპ კოლეჯი „მოდუსის“ მარნეულის ბაზაზე, სათანადო აღჭურვილობის მქონე სასწავლო

აუდიტორიაში, ხოლო პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულია კოლეჯის პარტნიორი კომპანია დებედას ჰიდროელექტროსადგური, რომელიც უზრუნველყოფს მსმენელების დაშვებას საკუთარ ბაზაზე პრაქტიკის გავლის მიზნით, მაღალი კომპეტენციის მქონე დარგის სპეციალისტების ზედამხედველობით. მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.

წარმოდგენილი პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, სასწავლო გარემოების ვიზუალური დათვალიერებით და წარმოდგენილი სასწავლო რესურსით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო-სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით სახანძრო უსაფრთხოების კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ, ასევე ვიზუალური დათვალიერებით.

რაც შეეხება მესამე სტანდარტს უნდა აღინიშნოს, რომ გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული დაწესებულება არის ავტორიზირებული, ის ყველა ქვესტანდარტს აკმაყოფილებს, კერძოდ, დაწესებულება აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, იურიდიული პირი აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც ასევე დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით, იურიდიული პირი უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას, საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, იურიდიული პირი კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას, თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას, იურიდიული პირი უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას.

კოლეჯი არის ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც გასცემს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად მომზადებულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს-სერტიფიკატს. სერტიფიკატის გაცემის საფუძველია მსმენელის მიერ პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ათვისება და განმსაზღვრელ შეფასებებში დადებითი შეფასების მიღება. სერტიფიკატის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, რომლითაც ხდება მსმენელთა შეფასების შედეგების წარდგენა. სერტიფიკატთან ერთად გაიცემა სერტიფიკატის დანართი, რომლის შევსებას ახორციელებს ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი. სერტიფიკატის გაცემა ფიქსირდება კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ სპეციალურ მკაცრი აღრიცხვის ჟურნალში კურსდამთავრებულის მიერ სერტიფიკატის მიღების დადასტურების ხელმოწერით. სერტიფიკატების გაცემაზე პასუხისმგებელია კოლეჯის რეესტრზე პასუხისმგებელი პირი.

საბჭოს თავმჯომარემ აღნიშნა, რომ მათთვის ცნობილია აღნიშნული პროგრამა, რომ პროექტის ფარგლებში იყო შემუშავებული, დახვეწილი და კარგი შინაარსის მქონე პროგრამა იყო, ყველანაირი აღჭურვილობა და რესურსი, როგორც წინა შემთხვევაში, ამ შემთხვევაშიც კარგია, შესაბამისად დაწესებულება არის მზად პროგრამის განხორციელებისთვის, მან იმედი გამოთქვა, რომ ამ პროგრამაზე სასწავლო პროცესი წარმატებული იქნება, ვინაიდან ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი კვალიფიციური სპეციალისტების შემოსვლა ბაზარზე, მან ასევე მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს შეჯამებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „მოდუსის" „ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი“ /02141/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „მოდუსს“ (ს/კ: 216350829) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი /02141/ **(დანართი 2).**

3. შპს შვეიცარული აგრარული სკოლა კავკასიის „ტრაქტორისტი მემანქანე“ /02110/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ (თეა გულუა)**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ვალერი ჯაჯანიძემ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის

11 ოქტომბრის №1317605 ბრძანების საფუძველზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა მაყვალა დარსანიამ და დარგის ექსპერტმა ვალერი ჯაჯანიძემ შეისწავლეს შპს შვეიცარულ აგრარული სკოლა კავკასიის პროფესიული მომზადების პროგრამის „ტრაქტორისტი მემანქანე“ განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადი და 2024 წლის 29 ოქტომბერს განახორციელეს ვიზიტი საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა სამი რეკომენდაცია 1.10, 2.2 და 3.5 ქვესტანდარტებთან დაკავშირებით, კერძოდ, 1.1 ქვესტანდარტთან მიმართებით აღინიშნა, რომ რეკომენდებულია მე-4, 5, 6, 7 კვირაში შეფასების მეთოდს დაემატოს ,,პრაქტიკული დავალება დაკვირვებით“ აღნიშნულ კვირებში არსებული თემატიკის გათვალისწინებით, ხოლო 2.2 ქვესტანდართან მიმართებით გაიცა რეკომენდაცია, რომ მნიშვნელოვანია დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი სასწავლო გარემოს შექმნა, მის ბალანსზე არსებული ინვენტარის შესაბამის სასწავლო გარემოში განთავსებით. 3.5 ქვესტანდარტთან დაკავშირებით კი აღინიშნა, რომ დაწესებულება კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას, თუმცა ელ. სისტემის დათვალიერებისას დადგინდა, რომ სერტიფიკატთან ერთად დაწესებულება გასცემს სერტიფიკატის დანართსაც, მაგრამ სერტიფიკატის დანართები არ არის ატვირთული ელ. სისტემაში. რეკომენდებულია ელ. სისტემაში სერტიფიკატთან ერთად აიტვირთოს სერტიფიკატის დანართები.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 8 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 20, განხორციელების ადგილი: დმანისი, სოფ. სარკინეთი.

პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დასაქმების/მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს, მსმენელების უმრავლესობა ფლობს საკუთარ მცირე თუ მსხვილ ფერმერულ მეურნეობას, რომელთა მოთხოვნაცაა დამატებით მიიღონ მექანიზაციის შესახებ ისეთი ცოდნა და უნარები, რომელიც გამოადგებათ საკუთარ ფერმერულ მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მართვასა და ექსპლუატაციის დროს. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამის სახელწოდება არ არის შეცდომაში შემყვანი, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ პროგრამის შინაარსი უკავშირდება პროფესიულ მომზადებას, ხოლო პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია: ასაკი - 18 წელი, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება.

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია.

სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, ხოლო სასწავლო პროცესში გამოყენებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები.

პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმა. კოლეჯს აქვს თეორიული სწავლებისთვის განკუთვნილი ორი აუდიტორია (A გარემო), 80 და 22 კვ/მ, დამატებით, კოლეჯის საკუთრებაში არსებულ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმაში და რძის გადამამუშავებელ ქარხანაში განთავსებულია საკლასო ოთახები (A-C გარემო), სადაც შესაძლებელია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული სწავლების განხორციელება.

წარმოდგენილი პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, სასწავლო

გარემოების ვიზუალური დათვალიერებით და წარმოდგენილი სასწავლო რესურსით. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო-სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით სახანძრო უსაფრთხოების კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ, ასევე ვიზუალური დათვალიერებით.
რაც შეეხება მესამე სტანდარტს უნდა აღინიშნოს, რომ გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული დაწესებულება არის ავტორიზებული, აკმაყოფილებს ქვესტანდარტებს, კერძოდ, დაწესებულება აცნობიერებს საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის როლსა და ადგილს შესაბამისი დარგის განვითარებაში, იურიდიული პირი აწარმოებს მსმენელთა შერჩევის გამჭვირვალე პროცედურებს, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესთან და პირობებთან, რაც ასევე დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით, იურიდიული პირი უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას, საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს, იურიდიული პირი კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში ასახვას, თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას, იურიდიული პირი უზრუნველყოფს მის მიერ გაწეული საგანმანათლებლო სერვისების შესახებ საზოგადოების სანდო და უტყუარ ინფორმირებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს დეტალური პრეზენტაციისთვის და მიმართა დაწესებულებას კომენტარისთვის რეკომენდაციებთან დაკავშირებით.
ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა გააკეთა კომენტარი სერტიფიკატის დანართთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მინისტრის №99/ნ ბრძანების მიხედვით, სერტიფიკატთან ერთად დანართის გაცემაც სავალდებულოა, უბრალოდ ის, რომ არ ჩანდა ელექტრონულ სისტემაში, ამას თავისი მიზეზი აქვს, ამ ეტაპისთვის QMS ელექტრონული სისტემა და არც IVET არ იძლევა იმის საშუალებას, რომ გაცემული სერტიფიკატის პარალელურად გამოჩნდეს დანართი, ცალკე ველი დანართისთვის არ არის, განსხვავებით დიპლომის დანართის არსებული ველისა, ზოგიერთი დაწესებულება აკეთებს იმას, რომ აერთიანებს სერტიფიკატს და მის დანართს და სერტიფიკატის ველის ნაწილში ეს ორივე დოკუმენტი ერთიანად ჩანს, ზოგიერთი ამას ვერ ახერხებს, ამიტომ ეს დანართები არ ჩანს, თუმცა უნდა იყოს აღნიშნული მისი გაცემა, ხოლო ეს დაწესებულება სიტყვიერად ადასტურებდა, რომ ყველა დანართი გაცემულია. მან ასევე დასძინა, რომ აღნიშნული საკითხის თაობაზე მიწერილი აქვთ ემისთან, ზოგადად გეგმავენ პლატფორმის გაუმჯობესებას.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს პრეზენტაციისთვის და რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათ ეს რეკომენდაციები ვიზიტის დროს ადგილზეც გაიარეს და იზიარებენ, ხოლო დანართის ატვირთვასთან დაკავშირებულ საკითხზე აღნიშნა, რომ ქალბატონმა ნანიმ ზუსტად აღწერა ის პრობლემა, რაც მათ აქვთ და დასძინა, რომ ყველა დანართი გაცემულია კურსდამთავრებულებზე, აღრიცხულია და სერტიფიკატთან ერთად დანართიც გაიცემა.
ქალბატონმა ნანიმ აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით ვიზიტის დროს იყო გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა დაწესებულებასა და ექსპერტს შორის და მან მადლობა გადაუხადა დაწესებულებას და ექსპერტს, რომ ეს ყველაფერი ვიზიტის დროსვე მათ მიერ ძალიან კოლეგიალურად და ურთიერთთანამშრომლობით მოგვარდა, მან ისიც აღნიშნა, რომ მათთვის მნიშვნელოვანია პროცესი, თუ ამ პროცესს როგორ უყურებს დაწესებულება და როგორ წარმართავს სამომავლოდ სასწავლო პროცესს, ხოლო საბჭოსთვის გადაწყვეტილების მისაღებად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დასკვნას, ანუ იმ მტკიცებულებებს, დასკვნაში წარმოდგენილ შეფასებას, რომელსაც ძირითადად დარგის ექსპერტი აკეთებს, გარკვეულწილად ამ ფორმალურ მტკიცებულებებსაც აქვს დატვირთვა, თუმცა არა ფორმალურად შექმნილს, მან

ასევე აღნიშნა, რომ თანამშრომლობა არის ძალიან მნიშვნელოვანი დაწესებულებასა და ექსპერტებს შორის და მთლიანობაში ობიექტური სურათის მიწოდება საბჭოსთვის. მან კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა ორივე მხარეს და აღნიშნა, რომ ეს კოლეჯი გამორჩეული დაწესებულებაა, თავისი საქმიანობით, მიდგომებით, დამოკიდებულებით და პასუხისმგებლობით და წარმატება უსურვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შვეიცარული აგრარული სკოლა კავკასიის „ტრაქტორისტი მემანქანე /02110/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს შვეიცარულ აგრარულ სკოლა კავკასიას (ს/კ: 404550525) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ტრაქტორისტი მემანქანე /02110/ **(დანართი 3).**

შპს ამარენას დირექტორის ხათუნა ბაკურაძის თხოვნით, დღის წესრიგში მოხდა ცვლილება და შემდეგ საკითხად განხილულ იქნა შპს ამარენას მონიტორინგის შესახებ საკითხი

4. შპს ამარენას „ფრანგული კონდიტერია“ /01331/ - პროფესიული მომზადების პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
• **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
• **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა ნია გუგუნავამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 7 ნოემბრის N1435672 ბრძანების საფუძველზე დარგის ექსპერტმა მაია მსხილაძემ და ცენტრის წარმომადგენელმა ნია

გუგუნავამ 2024 წლის 15 ნოემბერს განახორციელეს ვიზიტი შპს ამარენაში"- ქ. თბილისი, ტ. შევჩენკოს ქ. №1. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის „ფრანგული კონდიტერია“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება მონიტორინგის გზით.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს გამოვლინდა ხარვეზი 3.7 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, კერძოდ, იურიდიულ პირს არ ჰქონდა ატვირთული ყველა გაცემული სერტიფიკატის ასლი პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, რითაც დარღვეულია „პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის და მისი დანართის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №99/ნ- ის მოთხოვნები. ასევე, გაიცა 3.4 ქვესტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაცია, რომ სასურველია დაწესებულებამ გააკეთოს ერთიანი ანალიზი/ანგარიში, შეფასების ანკეტების შევსების შემდეგ.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა - 5 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 24, განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი ტ. შევჩენკოს ქ. №1

პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კერძოდ, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ორი განმახორციელებელი პირი, რომლებსაც უდასტურდებათ შესაბამისი გამოცდილება და კვალიფიკაცია. პროფესიული მომზადების პროგრამის „ფრანგული კონდიტერია“ კონტინგენტის განსაზღვრისთვის შპს ამარენა გამოყოფს კაფე-რესტორან „დუშეფის“ საკონდიტრო საამქროებსა და დარბაზს სრული აღჭურვილობითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. მეცადინეობა ტარდება საკონდიტრო საამქროს C გარემოში. უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წლის მონაცემებით, ბოლო ჩარიცხული ნაკადის მსმენელებიდან დასაქმებულია კურსდამთავრებულთა 66%.

საერთო ჯამში, 131 კურსდამთავრებულიდან (21 ნაკადი) საშუალოდ 80%-ია დასაქმებული. დინამიკაში ბაზრის მოთხოვნა იზრდება, იკვეთება კონდიტერიის სფეროში უფრო მეტი კვალიფიციური კადრის საჭიროება. იურიდიული პირი თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას, ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა თუ რამდენად იცავს დაწესებულება საკუთარ რეგულაციებს და დროულად ახდენს თუ არა ანგარიშგებასა თუ ინფორმირებას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა იყო ამ ხარვეზის მიზეზი, რაზეც დაწესებულების დირექტორმა განაცხადა, რომ მათ გამოასწორეს ეს ხარვეზი საბჭომდე და აღნიშნა, რომ გარკვეული მიზეზით იყო განპირობებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების დირექტორს, თუ იყო დაწესებულებაში სერტიფიკატების ასლები, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ ასლები ჰქონდათ, ვინაიდან სხვაგვარად ფიზიკურად ვერ შეძლებდნენ ერთ კვირაში, ფაქტობრივად ყველა მათი კურსდამთავრებულის სერტიფიკატის, დანართთან ერთად ატვირთვას, მატერიალურად მათ ყველაფერი ჰქონდათ, ელ. სისტემაში არ იყო ატვირთული.

ცენტრის წარმომადგენელმა ნია გუგუნავამ აღნიშნა, რომ მათ მიმოწერა ჰქონდათ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან, რომ საბჭოსთვის მიეწოდებინათ დადასტურებული ინფორმაცია.

ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ მთავრობის დადგენილების მიხედვით, თუ ხარვეზი იქნა გამოვლენილი მონიტორინგის დროს, საბჭო უფლებამოსილია, ან გააუქმოს ეს პროგრამა, ან დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად დამატებითი 15 დღე განუსაზღვროს, ამ შემთხვევაში ამის საჭიროება არაა, რადგან ეს გამოსწორდა სხდომამდე. შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიმოწერა არსებობს.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს თხოვნა ექნება საბჭოს აპარატთან, რომ მაისის ბოლოს გამოითხოვოს დაწესებულებისგან ინფორმაცია სერტიფიკატების ატვირთვის თაობაზე.
დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ქალბატონი ხათუნას ობიექტზე სასწავლო პროცესს რაც შეეხება, აბსოლუტურად ყველაფერი იყო მოწესრიგებული, სასწავლო გარემო, სადაც პრაქტიკული კომპონენტი ტარდება, ყველა იმ ინვენტარით იყო აღჭურვილი უმაღლეს დონეზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ამარენას „ფრანგული კონდიტერია“ /01331/ - პროფესიული მომზადების პროგრამის მონიტორინგის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„ფრანგული კონდიტერია“ პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საბჭოს აპარატის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ამარენას (ს/კ: 405293846) „ფრანგული კონდიტერია“ პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

5. შპს პირველი ფიტნეს აკადემიის „ფიტნეს ასისტენტი“ /01315/ - პროფესიული მომზადების პროგრამის მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის

წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა ნია გუგუნავამ, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 11 ოქტომბრის N1317570 ბრძანების საფუძველზე, დარგის ექსპერტმა ელისო მურვანიძემ და ცენტრის წარმომადგენელმა
ნია გუგუნავამ 2024 წლის 23 ოქტომბერს განახორციელეს ვიზიტი შპს "პირველი ფიტნეს აკადემიაში" - ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №16. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის "ფიტნეს ასისტენტი" განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება მონიტორინგის გზით.
მან განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს გამოვლინდა ხარვეზი 3.7 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს შემდეგს, რომ იურიდიულ პირს არ აქვს შემუშავებული სერტიფიკატის დანართები, რითაც დარღვეულია „პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის და მისი დანართის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №99/ნ-ის მოთხოვნები. ასევე, გაცემული სერტიფიკატები არ არის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალში გატარებული. ასევე 1.10 ქვესტანდარტთან მიმართებით გაიცა რეკომენდაცია, რომ სასურველია, შექმნილ შეფასების ინსტრუმენტებში, სადაც მოცემულია პრაქტიკული უნარების შესაფასებელი დავალებები, დეტალურად იქნას გაწერილი „ჩექლისთი“, შეფასების პროცესის მეტი ობიექტურობისა და გამჭვირვალობისთვის; სასურველია, შეფასების ინსტრუმენტებს თან ახლდეს თავფურცელი, სადაც გაწერილი იქნება დეტალები, გამოცდის ჩატარების სპეციფიკის შესახებ (გამოცდის ხანგრძლივობა, შეფასების მიმართულება, შეფასების მტკიცებულება, შეფასების გარემოს აღწერა, შეფასებისთვის საჭირო რესურსი, სწავლის შედეგების დადასტურების პირობები და სხვ.).
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სახეა - მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 30, განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №16.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით, მსმენელთა რაოდენობისა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კერძოდ, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 8 განმახორციელებელი პირი. ხელშეკრულების საფუძველზე, პროგრამა ხორციელდება ავერსის კლინიკის მფლობელობაში არსებულ შენობებში. თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილია სხვადასხვა შენობაში გათვალისწინებული სივრცეები. ერთ შენობაში გამოყოფილია თეორიული სწავლებისთვის აუდიტორიები, ხოლო მეორე შენობაში განთავსებულია ავერსის კლინიკის სარეაბილიტაციო ცენტრის ფიტნეს დარბაზი. შპს ავერსი კლინიკა უზრუნველყოფს სპორტული მედიცინის კუთხით კონსულტირებას, სპორტული ინვენტარით სარგებლობის უფლებას, სასწავლო ფართით სარგებლობას, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. შპს პირველი ფიტნეს აკადემიის აღნიშნული პროგრამა დაასრულა 75-მა მსმენელმა, ამჟამად ჰყავს 23 აქტიური მსმენელი. 2023 წლის მონაცემებით, დასაქმებულია კურსდამთავრებულთა 64,28%. ბაზრის მოთხოვნა იზრდება, იკვეთება ფიტნესის სფეროში უფრო მეტი კვლიფიკაციის ასამაღლებელი პროგრამების საჭიროება. საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისთვის იყენებს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის რელევანტურ მექანიზმებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იურიდიულმა პირმა წარმოადგინა შევსებული შეფასების კითხვარები, თუმცა აღნიშნული გამოკითხვების შედეგად არ გამოვლენილა რაიმე სახის რეკომენდაციები პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას. თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო

საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას, ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა, თუ რამდენად იცავს დაწესებულება საკუთარ რეგულაციებს და დროულად ახდენს თუ არა ანგარიშგებასა თუ ინფორმირებას. შედეგად, დგინდება, რომ ცენტრი სათანადოდ თანამშრომლობს მის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან, ახორციელებს დროულ ანგარიშგებას და ინფორმაციის მიწოდებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას გაეკეთებინა კომენტარი ხარვეზთან დაკავშირებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით, მათ ხარვეზები გამოსწორებული აქვთ, სერტიფიკატების დანართების ფორმა შემუშავებული აქვთ, გამზადებულია, ხელმოწერილია სერტიფიკატის მიმღები პირების მხრიდან, მკაცრი აღრიცხვის ჟურნალშიც აბსოლუტურად ყველაფერი გატარებულია ნაკადების მიხედვით. ის ნაკადები, რომლებიც შემოწმების პროცესისთვის იყო ცალ-ცალკე, მაგრამ ემისის ბაზასთან დაკავშირებით შეექმნათ პრობლემა, ჰქონდათ მცდელობა სერტიფიკატის დანართების დამატების, მაგრამ ეს ტექნიკურად ვერ შეძლეს, შემდეგ სერტიფიკატები და დანართები ატვირთეს გაერთიანებულად, ატვირთულია 78%.
საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, როგორ განახორციელეს ტექნიკურად, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ელ. სისტემაში ატვირთეს გაერთიანებული სახით.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ეს პროცესი როდის დასრულდებოდა და გაცემულ იქნა თუ არა დანართები კურსდამთავრებულებზე, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ნაკადში ზოგან 3 ზოგან 2 დანართი არის ასატვირთი შერეულად, ხოლო ყველა დანართი ფიზიკურად უკვე გაცემულია, მკაცრი აღრიცხვის ჟურნალში აღრიცხულია, გატარებულია.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს აპარატს არ აქვს ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ მათ ეს დოკუმენტები ატვირთეს.
ამაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სანამ სხდომა დაიწყებოდა მათი ოპერატორი ამ პერიოდში ცდილობდა დაესრულებინა ეს პროცესი, თუმცა ზუსტი ინფორმაცია არ აქვს.
ამასთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისი აზრით ამ ეტაპისთვის გამოსწორების ვადის განსაზღვრა იქნებოდა სწორი, რომ მათ ეს პროცესი დაესრულებინათ.
ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ რადგან დაწესებულებას მათთვის გუშინდელი საღამოს ჩათვლით არ მიუწოდებია არანაირი ინფორმაცია, მან საბჭოს გამართვამდე დილით მიწერა ემისს და მათგან ჯერ უკუკავშირი არ აქვს, მისი აზრით, ალბათ ეს პროცესი მართლაც მიმდინარეობს, როგორც დაწესებულების წარმომადგენელი აფიქსირებს, თუმცა რახან არ არის დასრულებული, შესაძლებელია ხარვეზის გამოსასწორებლად, რაც არის დადგენილებით განსაზღვრული, შესაძლებელია დაწესებულებას 15 სამუშაო დღე განესაზღვროს ხარვეზის გამოსასწორებლად.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 15 სამუშაო დღე საკმარისი იქნებოდა.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რადგან მათ აქვთ 15 დღის განსაზღვრის უფლება, და თუ უფრო ადრეც მოაგვარებენ ამ პრობლემას, შეუძლიათ, რომ თუნდაც 5 დღეში უკვე წარმოადგინონ ინფორმაცია.
ნათია კვიციანი დაინტერესდა, მოხდა უშუალოდ მსმენელებთან შეხვედრა თუ არა, რაზეც ნია გუგუნავამ განაცხადა, რომ დიახ, ვიზიტის დროს როგორც კურსდამთავრებულებს, ასევე აქტიურ მსმენელებს გაესაუბრნენ, თუმცა ისეთი დეტალის თაობაზე, რომ დანართი უნდა ჰქონოდათ, არ ფლობდნენ ინფორმაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს პირველი ფიტნეს აკადემიის „ფიტნეს ასისტენტი“ /01315/ - პროფესიული მომზადების პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული მომზადების პროგრამის „ფიტნეს ასისტენტი“ გეგმიური მონიტორინგის შესახებ საბჭოს აპარატის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, "პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-17 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების შესაბამისად, შპს პირველი ფიტნეს აკადემიას (ს/კ: 405421770) განესაზღვროს 15 სამუშაო დღის ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად.

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 10 დეკემბერი.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 13:50 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

ნ. ბაბალ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების
მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

მ. ზ

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02080	მზის ფოტოელექტრული სისტემების მონტაჟი	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	12	ქართული	15	ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. №1

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02141	ჰიდროელექტროსადგურის (ჰეს) ჰიდრო-მექანიკური ნაწილის ექსპლუატაციის ოპერატორი	პროფესიული მომზადება	მესამე	28	ქართული	15	ქ. მარნეული, იაღლუჯის დასახლება

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02110	ტრაქტორისტი მემანქანე	პროფესიული მომზადება	მესამე	8	ქართული	20	დმანისი, სოფ. სარკინეთი